საინვესტიციო ფონდების განვითარების პერსპექტივები საქართველოში

ზაია გელაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე
ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად

საბანკო საქმე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ალექსადნრე ერგეშიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად. ნაშრომის ზოგიერთი ნაწილი დაიწერა და წარდგენილი იყო როგორც სიმულაციური ნაშრომი კვლევის მეთოდების (თებერვალი, 2021) და აკადემიური წერის მეორე კურსზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლაში (იანვარი, 2021)

ბაია გელაშვილი

3 ივლისი, 2021 წელი

აბსტრაქტი

საინვესტიციო კომპანიები, საკუთარი აქციების გამოშვებით, იზიდავენ სახსრებს, რის შედეგადაც დებენ ინვესტიციებს სამრეწველო და სხვა კორპორაციების ფასიან ქაღალდებში. მათი მნიშვნელოვნების მიუხედავად განვითარებად ბაზრებზე, ცოტა რამ არის ცნობილი მათი ინვესტიციების განაწილებისა და სტრატეგიების შესახებ. თუმცა ფონდების განვითარებას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ფინანსური ბაზრის განვითარებასა და ქვეყნის ეკონომიკური ზრდაზე. საქართველოს პარლამენტის მიერ 2020 წელში "საინვესტიციო ფონდების შესახებ" კანონის მიღების შედეგად, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა მსგავსი ფინანსური ინსტიტუტების წახალისებისათვის და შესაბამისად საფუძველიც ჩაეყარა მათ განვითარებას.

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს, გავიგოთ თუ რომელი ეკონომიკური ფაქტორები ახდენენ გავლენას საქართველოში საინვესტიცო ფონდების განვითარებაზე. კვლევის ფარგლებში, განვსაზღვრეთ საინვესტიციო ფონდების არსი, საქართველოში ამ ფონდების სტრუქტურა, ჩავატარეთ მრავლობითი წრფივი რეგრესიის მოდელის ანალიზი, სადაც გამოვიყენეთ 41 ქვეყნის 2020 წლის მონაცემი. კვლევის საფუძველზე ირკვევა, რომ მხოლოდ ეკონომიკური სიძლიერე და კაპიტალის ბაზრების არსებობა არ განსაზღვრავს ქვეყანაში საინვესტიციო ფონდების განვითარებას, არამედ აუცილებელია სწორი საკანონმდებლო გარემო და შესაბამისი რეგულეციები, რომლებიც ინვესტორებს გაუღრმავებს ნდობას და წაახალისებს ბაზარს.

საკვანძო სიტყვები: საინვესტიციო ფონდი, ეროვნული ბანკი, კაპიტალის ბაზარი, ეკონომიკა, საფინანსო სექტორი, ფინანსური ინსტიტუტები.

Abstract

Investment companies, by issuing their own shares, attract funds, resulting in investing in securities of industrial and other corporations. Despite their importance in emerging markets, little is known about the distribution of their investments and strategies. However, the development of investment funds has a significant impact on the development of the financial market and the economic growth of the country. As a result of the Law on Investment Funds adopted by the Parliament of Georgia in 2020, important steps were taken to encourage such financial institutions and, consequently, laid the foundation for their development.

The main goal of the research is to understand which economic factors influence on development of investment funds in Georgia. As part of the study, we defined the essence of investment funds, the structure of these funds in Georgia, we conducted a multiple linear regression model analysis using data from 2020 in 41 countries. As a result of the research, we were convinced that not only economic strength and the existence of capital markets determine the development of investment funds in the country, but also a proper legal environment and relevant regulations that will deepen investor confidence and encourage the market.